წამახალისებელი გათამაშების ჩატარებისა და მასში მონაწილეობის მიღების წესები და პირობები

«LACTALIS GEORGIA»

1. **ზოგადი დებულებანი**

1.1 **«სანტისიმო®»**-ს სავაჭრო ნიშანის გათამაშების ორგანიზატორია შპს "ლაქტალის ჯორჯია" (ს/ნ 404898973),იურიდიული მისამართი:საქართველო,თბილისი,სამგორის რ-ნი,კახეთის გზატ. მე-10 კმ.(შემდგომში – გათამაშების ორგანიზატორი)

1.2 გათამაშების ჩატარების ტერიტორია–საქართველო.

1.3 გათამაშების ჩატარების საერთო ვადა-2026 წლის 25 ივნისიდან 2026 წლის 07 აგვისტოს ჩათვლით (შემდგომში – „გათამაშების ჩატარების პერიოდი").

ყურადღება:«სანტისიმო®»-ს სავაჭრო ნიშნის პროდუქციის შეფუთვაზე მითითებული ვადების მიუხედავად,რომელთან დაკავშირებითაც ტარდება გათამაშება,გათამაშებაში მონაწილეობის მიღება შესაძლებელია ქ.თბილისის დროით,2026 წლის 25 ივნისიდან 00სთ. 00.წთ.-დან,2026 წლის 07 აგვისტოს 23სთ. და 59წთ.-მდე ქ.თბილისის დროით(შემდგომში ტექსტის მიხედვით – „გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად განაცხადების მიღების პერიოდი").

1.4.გათამაშების ოფიციალური წესები(შემდგომში – წესები)გამოქვეყნებულია ვებ-საიტზე www.santissimopromo.ge (შემდგომში – საიტი).

1.5 აქციის ჩატარებისა და მასში მონაწილეობის მიღების წესებს შეგიძლიათ გაეცნოთ საიტზე www.santissimopromo.ge

1.6 აღნიშნული გათამაშება წარმოადგენს ლატარეას ლიცენზიის ნებართვის ნომრით N_____

2. საქონლის დასახელება,რომლის რეალიზაციის სტიმულირებისათვის ხორციელდება გათამაშება (პროდუქცია გათამაშებისთვის)

2.1. გათამაშება ტარდება სავაჭრო ნიშნის «სანტისიმო®»-ს ქვეშ მყოფ პროდუქციის გაყიდვის სტიმულირებისთვის.გათამაშებაში მონაწილეობს შემდეგი სახის პროდუქტები(შემდგომში გათამაშების პროდუქტი)

- სანტისიმო® - დასალევი იოგურტი
- სანტისიმო® - ჭიქის იოგურტი
- სანტისიმო® - რძის კოქტეილი
- სანტისიმო® - ხაჭოს დესერტი
- სანტისიმო® - პუდინგი

3.პირობები,რომელთა დაცვის შემთხვევაში ფიზიკურ პირს შესაძლებლობა ექნება გახდეს გათამაშების მონაწილე

გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქეები და საქართველოს ბინადრობის მოწმობის მქონე პირები,გათამაშების ჩატარების პერიოდში მუდმივადმცხოვრები საქართველოს ტერიტორიაზე,რომლებსაც გათამაშების ჩატარების მომენტისათვის შეუსრულდათ 14 (თოთხმეტი) წელი (შემდგომში – აქციის მონაწილე).არასრულწლოვან პირებს (14-დან 18 წლამდე),რომლებიც დაბადებულნი არიან საქართველოს ტერიტორიაზე,და რომელთა მშობლებიც არიან საქართველოს მოქალაქეები ან საქართველოს ტერიტორიაზე ბინადრობის მოწმობის მქონე პირები,აქვთ უფლება მიიღონ მონაწილეობა გათამაშებაში მხოლოდ ერთ-ერთი მშობლის თანხმობით.

მონაწილე – პირი,რომელიც შეესაბამება სააქციო წესების მოთხოვნებს და რომელმაც 2026 წლის 25 ივნისიდან 2026 წლის 07 აგვისტოს ჩათვლით შეიძინა ნებისმიერი სააქციო პროდუქტი და შეასრულა ყველა ის მოთხოვნა,რომელიც საჭიროა გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად.

3.1.გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად არ დაიშვებიან:

* იურიდიული პირები და ინდ. მეწარმეები;
* გათამაშების ორგანიზატორის საწარმოში დასაქმებული პირები, რომლებიც წარმოადგენენ გათამაშების ორგანიზატორის ინტერესებს;

3.2.გათამაშებაში მონაწილეობით გათამაშების მონაწილე ადასტურებს წინამდებარე წესების გაცნობას და აცხადებს სრულ თანხმობას ამ წესების შესრულებასთან დაკავშირებით და საკუთარ თავზე იღებს ვალდებულებას მათი ყველა პირობისა და მოთხოვნის დაცვაზე.

3.3 გათამაშებაში მონაწილეობის ფაქტი ნიშნავს,რომ აქციის მონაწილეები ეთანხმებიან იმას,რომ გათამაშების ორგანიზატორს აქვს უფლება გამოიყენოს მათი სახელი,ფოტოები,ვიდეო-აუდიო და სხვა მასალები მათ შესახებ ნებისმიერ სარეკლამო და (ან) საინფორმაციო მასალებში,რომლებიც დაკავშირებული იქნება გათამაშების ჩატარებასთან,გათამაშების მონაწილეებისათვის რაიმე ანაზღაურების გადახდის გარეშე.გათამაშების გამარჯვებულები აცხადებენ თანხმობას ინტერვიუზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და გადაღებაზე სარეკლამო მასალებისთვის,რომლებიც მომზადებული

იქნება გათამაშების ჩატარებასთან დაკავშირებით,მისთვის რაიმე ანაზღაურების გადახდის გარეშე.ყველა უფლება ასეთ სარეკლამო მასალებზე ეკუთვნის გათამაშების ორგანიზატორს.

3.4.იმისთვის,რომ გახდეთ გათამაშების მონაწილე,2026 წლის 25 ივნისის 00სთ. 00წთ.-დან,2026 წლის 07 აგვისტოს 23სთ. და 59წთ.-მდე (თბილისის დროით),უნდა შეასრულოთ შემდეგი წესები:

3.4.1 საიტზე www.santissimopromo.ge გაიაროთ მოკლე რეგისტრაცია,მიუთითოთ თქვენი პერსონალური მონაცემები (შემდგომში-რეგისტრაციის მონაცემები),კერძოდ:

- **მობილურის ნომერი** (მობილურის ნომერი უნდა იყოს აქტიური და დარეგისტრირებული საქართველოს მობილურ ოპერატორთან)
- **სახელი**
- **პაროლი** (გათამაშების მონაწილე იღებს სმს სახით პაროლს)
- **გათამაშების პირობებზე თანხმობის დასტური,თანხმობა პერსონალური მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებაზე (სავალდებულო ღილაკი)**

საიტზე წარმატებული რეგისტრაციის დასადასტურებლად, გამოჩნდება ელექტრონული საინფორმაციო შეტყობინება.

3.4.2 რეგისტრაციის გავლის შემდეგ,მონაწილე მიიღებს გარანტირებულ პრიზს - უფასო ონლაინ სტიკერებს,რომელსაც გამოიყენებს ონლაინ პლატფორმებზე.

3.5 შემდგომში მონაწილეს ეძლევა ორი ვარიანტი:

1) ატვირთოს გათამაშებაში მონაწილე შეძენილი 2 ცალი სანტისიმო-ს ნებისმიერი პროდუქტის ქვითარი და ითამაშოს "თამაში" და მიიღოს შესაძლებლობა მოიგოს მომენტალური პრიზი (გლოვოს ელექტრონული პრომო კოდი და ვოლტის ელექტრონული პრომო კოდი)

2) ატვირთოს გათამაშებაში მონაწილე შეძენილი 2 ცალი სანტისიმო-ს ნებისმიერი პროდუქტის ქვითარი და მიიღოს მონაწილეობა ყოველკვირეული და მთავარი პრიზის გათამაშებაში. (სამაგიდო თამაში,JBL დინამიკი,სქროლი, პროექტორი,საოჯახო კინოთეატრი,ტურისტული ვაუჩერი)

ქვითრის მოდერაციის წარმატებულად გავლის შემდეგ, მომხმარებელი იღებს მონაწილეობას ყოველკვირეული და მთავარი პრიზის გათამაშებაში.

3.6 **იმისათვის,რომ ითამაშოთ თამაში, აუცილებლად:**

- დააჭიროთ ღილაკს «თამაშის დაწყება»
  - თამაშის თითოეული სესია შედგება 6 შეკითხვისგან.
  - თითოეული სწორი პასუხი მონაწილეს აძლევს 1 შანსს ყოველკვირეული პრიზების გათამაშებაში მონაწილეობისათვის.
  - ამასთანავე, თითოეული სწორი პასუხი იძლევა შანსს ყოველკვირეული პრიზის მოგებისთვის.
  - თამაშის მექანიკა არის სიტყვის გამოცნობა, რომელიც აერთიანებს 2 ან 4 ფოტო სურათს.

ერთ მონაწილეზე დღიური თამაშის ლიმიტი - 3

ერთ მონაწილეზე დღიური ქვითრის ატვირთვის ლიმიტი -5

3.7 **იმისათვის,რომ ატვირთოთ შეძენილი სააქციო პროდუქტის ქვითარი და მიიღოთ მონაწილეობა ყოველკვირეული და მთავარი პრიზის გათამაშებაში,აუცილებელია:**

- შეიძინოთ ნებისმიერი სააქციო პროდუქტი მინიმუმ 2 ცალი, რომელიც აღნიშნულია წინამდებარე წესების პუნქტში 2.1
- შეინახოთ სალარო ქვითარი,სადაც მითითებულია შეძენილი სააქციო პროდუქტი,რომელიც აღნიშნულია წინამდებარე წესების პუნქტში 2.1
- ქვითრის დასარეგისტრირებლად მონაწილემ უნდა ატვირთოს პროდუქტის შეძენის დამადასტურებელი ქვითრის ფოტო,რომელშიც მითითებულია პროდუქტის დასახელება,რომელიც მონაწილეობს გათამაშებაში.
- ქვითრის დასარეგისტრირებლად უნდა დააჭიროთ ღილაკს „ქვითრის ატვირთვა“ და შეავსოთ ველები
- ქვითრის ფოტო და დააჭიროთ ღილაკს „დარეგისტრირება“

3.8 ქვითარში ასახული ყველა მონაცემი უნდა იყოს კითხვადი.ქვითრის გამოსახულება უნდა იყოს მკაფიო და კითხვადი.ფაილის ტიპი:JPEG,JPG,არაუმეტეს 10მბ,გაფართოება არანაკლებ 200(ორასი) dpi.არ დაიშვება გამოსახულება, რომელიც არ არის ფოტოსურათი (სქრინები,ანაბეჭდი,
ნახატი,კომპიუტერული გრაფიკა, ფოტომონტაჟი) ქვითრის ფოტო უნდა იყოს სრულად,ქვითრის
ზედა და ქვედა მხარის ჩათვლით,ქვითრის გამოსახულება აუცილებლად უნდა იყოს ვერტიკალურად
ორიენტირებული,ქვითრის ფოტო გადაღება აუცილებელია მართი კუთხით.
3.9 ატვირთული ქვითრები გაივლიან შემოწმებას/მოდერაციას გათამაშების პირობების შესაბამისად.ორგანიზატორს უფლება აქვს არ ჩაუთვალოს მონაწილეს ატვირთული ქვითარი ნებისმიერ დროს,თუ გამოსახულება არ იქნება კითხვადი(კერძოდ,ნაწილობრივი დაზიანებებით,არა კაფიო) ან ყალბი,ან თუ ქვითარზე ასახული ინფორმაცია არ შეესაბამება გათამაშების პირობებს.

3.10 ასევე არ მიიღება ასლი ქვითრები. მეორეხარისხოვანი ქვითარი რომელშიც არ არის მითითებული შეძენის ადგილი,თარიღი,დრო და სააქციო პროდუქტი ასეთი ქვითრები არ მიიღება.

3.11 ერთიდაიგივე ქვითრის ფოტო საიტზე შეიძლება ატვირთული იყოს მხოლოდ ერთხელ გათამაშების ჩატარების მთელი დროის განმავლობაში.ერთსა და იმავე მონაწილეს შეუძლია ატვირთოს შეუზღუდავი რაოდენობის ქვითრები,რომლებიც აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

3.12 თუ 1 სალარო ქვითრით იყო შეძენილი ორზე მეტი სააქციო პროდუქტი რომელიც აღნიშნულია 2.1 პუნქტში,მაშინ ამ ქვითრიდან მხოლოდ ორი პროდუქტი შეიძლება გამოყენებულ იქნას გათამაშებაში მონაწილეობისთვის,ამ შემთხვევაში ერთი ქვითარი უდრის ყოველკვირეული და მთავარი პრიზის გათამაშებაში მონაწილეობის ერთ შანსს.

აუცილებელია ატვირთული სალარო ქვითრების შენახვა,გათამაშების ორგანიზატორთან წარსადგენად გამარჯვების შემთხვევაში.

4. არასწორად ითვლება, არ ჩაითვლება და არ რეგისტრირდება შემდეგი ქვითრები:

- ქვითრები,რომლებიც არ შეიცავს პროდუქციის დასახელებას,რომელიც მითითებულია 2.1 პუნქტში.
- გამოგონილი;
- გათამაშებაში მონაწილეობის მიღების პერიოდის დაწყებამდე (2026 წლის 25 ივნისამდე, თბილისის დროით 00:00 საათამდე);
- გათამაშებაში მონაწილეობის მიღების პერიოდის დასრულებისას (2026 წლის 07 აგვისტოს შემდეგ,თბილისის დროით 00:00 საათამდე);

5. შევსებული მონაცემების რედაქტირება შეუძლებელია,მონაცემები უნდა იყოს უტყუარი. გათამაშების მონაწილე ვერ გახდება საჩუქრის მფლობელი, თუ მან რეგისტრაციისას მიაწოდა მცდარი ინფორმაცია, კერძოდ სახელი, მობილური ტელეფონის ნომერი.

6.გათამაშების ერთ მონაწილეს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა გათამაშებაში მხოლოდ ერთი მობილური ნომრის გამოყენებით.

7. საიტზე წარმატებული რეგისტრაციის დადასტურების შემდეგ, გათამაშების მონაწილეს ენიჭება უნიკალური ნომერი,რომელიც შეესაბამება გათამაშების მონაწილის მობილური ტელეფონის ნომერს და მას ეძლევა წვდომა „პირად სივრცეში“,რომელიც არის გათამაშების მონაწილის ვირტუალური ანგარიში. „პირადი სივრცე“ შეიცავს და ინახავს ინფორმაციას გათამაშების ფარგლებში რეგისტრირებული ქვითრების,მიღებული გარანტირებული საჩუქრების,მოგებული პრიზების დასახელებისა და რაოდენობის შესახებ.

8.საპრიზო ფონდის შემადგენლობა და ოდენობა

8.1.გათამაშების საპრიზო ფონდი ფორმდება გათამაშების ორგანიზატორის მიერ ფულადი სახსრებისა და ქონების ხარჯზე და შედგება:მომენტალური, ყოველკვირეული და მთავარი პრიზისგან.

8.2 მთავარი პრიზი: ტურისტული ვაუჩერი 3 ადამიანზე,თამაშდება გათამაშების ბოლოს-1 ცალი;

8.2.1 გათამაშების ჩატარების ეტაპები და თარიღები:

მთავარი პრიზის გამოვლენის თარიღები*

გათამაშებაში მონაწილეობის პერიოდი	**გამარჯვებულის გამოვლენის თარიღი**	**გამარჯვებულთა რაოდენობა**	**პრიზი**
გათამაშებაში მონაწილეობას ღებულობენ 25.06- დან 07.08-ის ჩათვლით ატვირთული ქვითრები	11.08.2026 15:00:00	1(ერთი)გამარჯვებული	ტურისტული ვაუჩერი - კრუიზი 3 ადამიანზე

„ტურისტული ვაუჩერის“ გამარჯვებულის გამოვლენა ხდება შემდეგი პრინციპით: გამოგზავნილი *ქვითრები* გაივლიან შემოწმებას (მოდერაციას), კერძოდ ატვირთული ქვითარი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: გამოსახულება უნდა იყოს კითხვადი (მკაფიო), უნდა ჩანდეს შეძენის ადგილი, თარიღი, დრო და სააქციო პროდუქტი. მთავარი პრიზის გამარჯვებულების გამოვლენა მოხდება ლაივ რეჟიმში (ამ დოკუმენტის 8.2.1 პუნქტში მითითებულ რიცხვებში და დროს, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ქავთარაძის #1 „გუდვილი“, სანტეს-ს ფეისბუქ გვერდზე), შემთხვევითობის პრინციპით, სპეციალური შემთხვევითი რიცხვების გენერირების პროგრამის მეშვეობით.

ყოველკვირეული პრიზების გამოვლენის თარიღები*

გათამაშებაში მონაწილეობის პერიოდი	**გამარჯვებულთა რაოდენობა**	**პრიზი**
1 კვირა (გათამაშებაში მონაწილეობას ღებულობენ 25.06- დან 02.07)-ის ჩათვლით **გამარჯვებულის გამოვლენის თარიღი და დრო:** 06.07.26 15:00:00	5 (ხუთი) გამარჯვებული	JBL დინამიკი
	5 (ხუთი) გამარჯვებული	პროექტორი
	10 (ათი) გამარჯვებული	სამაგიდო თამაში
2 კვირა (გათამაშებაში მონაწილეობას ღებულობენ 02.07- დან 09.07)-ის **გამარჯვებულის გამოვლენის თარიღი და დრო:** 13.07.26 15:00:00	5 (ხუთი) გამარჯვებული	JBL დინამიკი
	5 (ხუთი) გამარჯვებული	პროექტორი
	10 (ათი) გამარჯვებული	სამაგიდო თამაში
	1 (ერთი) გამარჯვებული	სქროლი
3 კვირა (გათამაშებაში მონაწილეობას ღებულობენ 09.07- დან 16.07)-ის ჩათვლით **გამარჯვებულის გამოვლენის თარიღი და დრო:** 20.07.26 15:00:00	5 (ხუთი) გამარჯვებული	JBL დინამიკი
	5 (ხუთი) გამარჯვებული	პროექტორი
	10 (ათი) გამარჯვებული	სამაგიდო თამაში
4 კვირა (გათამაშებაში მონაწილეობას ღებულობენ 16.07- დან 23.07)-ის ჩათვლით **გამარჯვებულის გამოვლენის თარიღი და დრო:** 27.07.26 15:00:00	5 (ხუთი) გამარჯვებული	JBL დინამიკი
	5 (ხუთი) გამარჯვებული	პროექტორი
	10 (ათი) გამარჯვებული	სამაგიდო თამაში
	1 (ერთი) გამარჯვებული	საოჯახო კინოთეატრი

5 კვირა (გათამაშებაში მონაწილეობას ღებულობენ 23.07- დან 30.07)-ის ჩათვლით **გამარჯვებულის გამოვლენის თარიღი და დრო:** 03.08.26 15:00:00	5 (ხუთი) გამარჯვებული	JBL დინამიკი
	5 (ხუთი) გამარჯვებული	პროექტორი
	10 (ათი) გამარჯვებული	სამაგიდო თამაში
6 კვირა (გათამაშებაში მონაწილეობას ღებულობენ 30.07- დან 07.08)-ის ჩათვლით **გამარჯვებულის გამოვლენის თარიღი და დრო:** 10.08.26 15:00:00	5 (ხუთი) გამარჯვებული	JBL დინამიკი
	5 (ხუთი) გამარჯვებული	პროექტორი
	10 (ათი) გამარჯვებული	სამაგიდო თამაში

მომენტალური პრიზების გამარჯვებულების გამოვლენა ხდება ავტომატურად საიტზე,შემთხვევითობის პრინციპით, ყოველდღიურად იმ მონაწილეთა შორის, რომლებმაც წარმატებით ითამაშეს თამაში საიტზე.

*შენიშვნა: ქვითრები მონაწილეობას იღებენ ეტაპის ყველა იმ გათამაშებაში, რომლებიც აკმაყოფილებენ გათამაშების პირობებს.

მომენტალური პრიზი გაცემა მოხდება შემდეგი კრიტერიუმების შემოწმების შემდეგ:

• წარმატებით გაიარა თამაში

• დარჩენილი გასაცემი პრიზები

გარდა ამისა, პრიზის გაცემა დამოკიდებულია რანდომიზერის შედეგზე „დიახ“ ან „არა“ 1-დან 2-მდე ალბათობით. ინფორმაცია მომენტალური პრიზის შესახებ მაშინვე გამოჩნდება საიტზე თამაშის დასრულების შემდეგ და პირადი სივრცის განყოფილებაში. მონაწილე აუცილებლად უნდა მივიდეს პრიზების გაცემის ცენტრში ყოველკვირეული პრიზის მოგების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 6 დღის განმავლობაში.

ყოველკვირეული პრიზების გაცემის პუნქტები:

1. ქ.თბილისი,თბილისი მოლის "კარფური",აღმაშენებლის ხეივ. 16 კმ.
2. ქ.თბილისი,გლდანი მოლის "კარფური",ხიზანიშვილის 30.

3. ქ.თბილისი,ისთ ფოინთის "კარფური",თვალჭრელიძის ქ. 2.
4. ქ.თბილისი,სითი მოლის "გუდვილი",ქავთარაძის 1.
5. ქ.თბილისი,ქარვასლას "კარფური",ც.დადიანის 7.
6. ქ.რუსთავი,"კარფური",მეგობრობის გამზ. 23.
7. ქ.გორი,"კარფური",ამილახვრის ქ. 30.
8. ქ.თელავი,"კარფური",ალაზნის გამზირი 77.
9. ქ.ქუთაისი,"კარფური",დ.აღმაშენებლის გამზ.132.
10. ქ.ზუგდიდი,"კარფური",აღმაშენებლის ქ. 6
11. ქ.ბათუმი,"კარფური",ტბელ-აბუსერიძის ქ. 22

გაცემის პუნქტების სამუშაო გრაფიკი:ხუთშაბათი, 10:00დან-21:00მდე

მნიშვნელოვანია! თუ მითითებულ ვადაში მონაწილე არ გამოცხადდა, მისი ყოველკვირეული პრიზი გაუქმდება.

*საიტზე და სარეკლამო მასალებზე პრიზების ვიზუალი,ფერი და მოდელი შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური პრიზების ვიზუალისგან. აქციის ორგანიზატორს უფლება აქვს შეცვალოს პრიზის ფერი და მოდელი თავისი შეხედულებისამებრ.

9.გათამაშების ჩატარების წესი,მათ შორის გათამაშების გამარჯვებულების გამოვლენის წესები და ინფორმირების მეთოდი.

9.1 „ტურისტული ვაუჩერის“ გამარჯვებულის გამოვლენა ხდება შემდეგი პრინციპით: გამოგზავნილი *ქვითრები* გაივლიან შემოწმებას (მოდერაციას), კერძოდ ატვირთული ქვითარი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: გამოსახულება უნდა იყოს კითხვადი (მკაფიო), უნდა ჩანდეს შეძენის ადგილი, თარიღი, დრო და სააქციო პროდუქტი. მთავარი პრიზის გამარჯვებულების გამოვლენა მოხდება ლაივ რეჟიმში (ამ დოკუმენტის 8.2.1 პუნქტში მითითებულ რიცხვებში და დროს, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ქავთარაძის #1 „გუდვილი“, სანტეს-ს ფეისბუქ გვერდზე), შემთხვევითობის პრინციპით, სპეციალური შემთხვევითი რიცხვების გენერირების პროგრამის მეშვეობით.

9.2 მთავარი პრიზის მფლობელის გამოვლენის შემდეგ, გათამაშების ორგანიზატორის მიერ ხორციელდება გამარჯვებულის შეტყობინება სატელეფონო ზარის მეშვეობით ფიჭური კავშირგაბმულობის ოპერატორის სააბონენტო ნომერზე,რომლითაც იყო ატვირთული ქვითარი და რომელიც მითითებული იყო რეგისტრაციის დროს.

9.3 თუ ყოველკვირეული პრიზის მიღების გაცემის ცენტრის ფორმა სწორად იყო შევსებული, ზარი ორგანიზატორისგან არ ხორციელდება.

9.4 აღნიშნული გამარჯვებულების გამოვლენის მომენტიდან, იმ შემთხვევაში თუ 24 (ოცდაოთხი) საათის განმავლობაში, გათამაშების ორგანიზატორი ვერ უკავშირდება გამარჯვებულებს, უკანასკნელს ერთმევა უფლება შესაბამის პრიზზე, და გათამაშების ორგანიზატორი უკავშირდება სარეზერვო გამარჯვებულებს, იმისთვის, რომ გადასცეს პრიზი. იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზატორი აღნიშნული ვადის განმავლობაში ვერ უკავშირდება სარეზერვო გამარჯვებულებს, ასეთ გამარჯვებულებს ერთმევათ უფლება შესაბამისი პრიზის მიღებაზე და გათამაშების ორგანიზატორს აქვს უფლება გამოიყენოს შესაბამისი პრიზი თავისი შეხედულებისამებრ.

9.6 მთავარი პრიზის მიღებისთვის, გამარჯვებულმა უნდა წარმოუდგინოს გათამაშების ორგანიზატორს პირადობის მოწმობა.სხვა შემთხვევაში პრიზი მას ვერ გადაეცემა.

9.7 მთავარი პრიზების გამარჯვებულის ვინაობა განთავსდება საიტზე,გათამაშების შემდეგ 3 კალენდარული დღის განმავლობაში.

9.8 გათამაშების გამარჯვებულების სრული სია განთავსდება საიტზე www.santissimopromo.ge ნაწილში “გამარჯვებულები” არაუგვიანეს 2026 წლის 19 აგვისტოს (შემდგომში-გათამაშების ჩატარების შედეგების განთავსების თარიღი).
პრიზების გამარჯვებულების პერსონალური მონაცემები განთავსდება საიტზე საჯაროდ,კერძოდ: სახელი,დაშიფრული მობილურის ნომერი, გათამაშების თარიღი,მოგებული პრიზის აღწერა.

9.9 გათამაშების მონაწილემ უნდა შეინახოს ქვითრები საბოლოო შედეგების შეჯამებამდე და პრიზების საბოლოო გადაცემამდე. იმ შემთხვევაში, თუ გათამაშების მონაწილე მიიღებს მთავარი პრიზის მიღების უფლებას, გათამაშების ორგანიზატორი იტოვებს უფლებას შეამოწმოს მოგებული ქვითრის არსებობა. ქვითრის არარსებობა ართმევს გათამაშების მონაწილეს პრიზის მიღების უფლებას.

9.10.პრიზი არ ექვემდებარება გადაცემას გათამაშების მონაწილეებისათვის სხვა წესით, ვიდრე ეს გათვალისწინებულია წინამდებარე წესებით, მათ შორის არ ექვემდებარება გადაცემას ფულად ეკვივალენტში. გათამაშების მონაწილის მხრიდან პრიზის მიღებაზე უარის თქმის; გათამაშების მონაწილის მიერ წინამდებარე წესების მოთხოვნების შეუსრულებლობის ან

დადგენილ ვადაში და დადგენილი წესით პრიზის მიუღებლობის შემთხვევაში, გათამაშების მონაწილე კარგავს უფლებას პრიზის მიღებაზე და გათამაშების გამარჯვებულების კუთვნილი პრიზი რჩება გათამაშების ორგანიზატორთან. გათამაშების გამარჯვებულებს არ აქვთ უფლება განმეორებით მოითხოვონ პრიზი, ფულადი კომპენსაცია მათთვის არ გადაიხადება.

10.გათამაშების გამარჯვებულებისთვის პრიზების გადაცემის წესი და ვადა

10.1 მთავარი პრიზის მიღებისთვის გამარჯვებულმა, გამოვლენის შეტყობინების მომენტიდან გათამაშების ორგანიზატორისთვის უნდა წარადგინოს არაუგვიანს 6 (ექვსი) კალენდარული დღის განმავლობაში შემდეგი საბუთები/ინფორმაცია:

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა(ორივე მხარე);
- მოგებული ქვითრის დედანი.

ტურისტული ვაუჩერის დოკუმენტური გადაცემის და რეგისტრაციის პირობებს, მოგზაურობის ხანგრძლივობას და სხვა პირობებს (კრუიზი 3 ადამიანზე) გამარჯვებულებთან ინდივიდუალურად განიხილება. მოგზაურობა განხორციელდება არაუგვიანეს 2026 წლის 25 აგვისტოს. თუ ეს შესაძლებელია, გათამაშების ორგანიზატორს უფლება აქვს შესთავაზოს გამარჯვებულს აირჩიოს მოგზაურობის თარიღი ორგანიზატორის მიერ მოწოდებული თარიღებიდან.

10.2 წესებით გათვალისწინებული გათამაშების პირობების შეუსრულებლობისას ან პრიზის მიღების ვადების დარღვევისას, შესაძლოა უარი ეთქვას შესაბამისი პრიზის გაცემაზე და/ან გათამაშების გამარჯვებულებს წაერთვათ უფლება შესაბამისი პრიზის მიღებაზე.

10.3 გარემოების, რომელიც გათამაშების ორგანიზატორზე არ არის დამოკიდებული, თუ გათამაშების მონაწილეს ვერ უკავშირდება რეგისტრაციისას მითითებულ მობილურ ნომერზე, ათავისუფლებს გათამაშების ორგანიზატორს პასუხისმგებლობისგან პრიზის გაუქმების გამო.

11.გათამაშების ზოგადი პირობები

11.1 თავისი რეგისტრაციით გათამაშების მონაწილე ადასტურებს, რომ არის საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, მოწოდებული აქვს საკუთარი და უტყუარი მონაცემები და თანხმობას აცხადებს გათამაშების ორგანიზატორის მიერ ინფორმაციის მიღებაზე სარეკლამო აქციების, საჩუქრების, პროდუქციის ნიმუშების და სხვა წინადადების შესახებ. გათამაშების მონაწილის თანხმობა გათამაშების ორგანიზატორსა და სხვა უფლებამოსილ პირებს, უფლებას აძლევს განახორციელონ გათამაშების მონაწილის მიერ ანკეტაში მითითებული მონაცემების შეგროვება, შენახვა, დამაშუვება და გამოყენება, გათამაშების ორგანიზატორის და/ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ გათამაშების მონაწილეებთან კონტაქტების განხორციელბისთვის; გათამაშების ორგანიზატორის სარეკლამო აქციებთან დაკავშირებით, მათ შორის ელექტროკავშირის ქსელების მეშვეობით, SMS-შეტყობინებების და ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინებების გაგზავნის ჩათვლით. გათამაშების ორგანიზატორებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა ამ მონაცემების არასანქცირებული გავრცელებისგან. თანხმობა ძალაშია გათამაშების მონაწილის მიერ სარეგისტრაციო მონაცემების გადაცემის მომენტიდან, გათამაშების მონაწილის მიერ მათი გამოხმობის მომენტამდე.

11.2 გათამაშებასთან დაკავშირებული პრეტენზი(ებ)ის მიღება განხორციელდება თითოეული პრიზის გათამაშებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, ყოველი სამუშაო დღის 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, სამგორი, კახეთის გზატ. მე-10 კმ., ამ პუნქტში მითითებული 5 (ხუთი) დღიანი ვადის გასვლის შემდგომ წარმოდგენილი პრეტენზიები არ განიხილება.

11.3 თითოეული პრეტენზია განიხილება მისი წერილობითი ფორმით მიღებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, წამახალისებელი გათამაშების დროს შექმნილი კომისიის წევრთა ჯგუფის მიერ. პრეტენზიის ავტორს შესაბამისი გადაწყვეტილება გაეგზავნება მის მიერ პრეტენზიის შესახებ განცხადებაში მითითებულ მისამართზე ან ელექტრონულ ფოსტაზე.

11.4 თითოეული პრეტენზია წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი სახით, რომელსაც ხელს უნდა აწერდეს პრეტენზიის ავტორი, წინააღმდეგ შემთხვევაში პრეტენზია არ განიხილება.

11.5 თანხმობის გამოხმობის შესახებ შეტყობინების მიღების შემთხვევაში, გათამაშების ორგანიზატორი და მისი უფლებამოსილი პირები წყვეტენ გათამაშების ამ მონაწილის პერსონალური მონაცემების დამუშავებას და ანადგურებენ მის პერსონალურ მონაცემებს ხუთი სამუშაო დღის ვადაში, გამოხმობის შემოსვლის მომენტიდან.

11.6 გათამაშების ორგანიზატორი არ აგებს პასუხს გათამაშების ჩატარებასთან დაკავშირებული მოქმედების შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეული იყო გათამაშების მონაწილის პერსონალური მონაცემების განადგურების გამო გათამაშების მონაწილის მიერ მათი გამოხმობის შედეგად.

11.7 გათამაშების ჩატარების დროს გათამაშების მონაწილეების მიერ მიღებულ პრიზებზე გადასახადების გადახდა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის თანახმად.

11.8 თუ რაიმე მიზეზით გათამაშება ვერ ჩატარდება ისე,როგორც დაგეგმილია, მათ შორის, რაიმე მიზეზით გამოწვეული

კომპიუტერული ვირუსით, ინტერნეტის უკმარისობით, დეფექტით, მანიპულაციებით, არასანქცირებული ჩარევით, გაფუჭებით, ტექნიკური უკმარისობით ან რაიმე მიზეზით, რომელიც არღვევს ან გავლენას ახდენს შესრულებაზე, უსაფრთხოებაზე, სამართლიანობაზე, გათამაშების ორგანიზატორს შეუძლია, თავისი შეხედულებისამებრ, გააუქმოს, შეწყვიტოს, შეცვალოს ან შეაჩეროს გათამაშება ან გააუქმოს ნებისმიერი დაზარალებული ჩანაწერი.